საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030132664017920

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/2033 **18 / თებერვალი / 2020 წ.**

ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში
ევროკავშირის ელჩს საქართველოში, ბატონ კარლ ჰარცელს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელით ვსარგებლობ შესაძლებლობით და გამოვხატავ მადლიერებას ევროკავშირის მიერ ქვეყნისთვის სასიკეთო და მნიშვნელოვანი ინიციატივების მხარდაჭერისთვის.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2019 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქვეყანაში დასაქმების სერვისების გაძლიერების მიმართულებით. 2020 წლის იანვრიდან ამოქმედდა სახელმწიფო დასაქმების სერვისების სააგენტო (State Social Service Agency), რომლის მიზანსაც მოსახლეობის შრომისა და დასაქმების ხელშეწყობა წარმოადგენს.

სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებებია: შრომის ბაზრის მომსახურებების გაწევა; კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, განხორციელება და ანალიზი საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მიმდინარე და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენის მიზნით; კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის შეთანხმებული მექანიზმების განხორციელება საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებითი, ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების (ცირკულარული შრომითი მიგრაციის) განვითარების მიზნით.

შესაბამისად, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მიერ თქვენს წინაშე განსახილველად წარმოდგენილი პროექტი, სრულ თანხვედრაშია სახელმწიფოს მიერ დასაქმების სფეროში განსაზღვრულ პრიორიტეტებთან და მიგვაჩნია, სხვადასხვა აქტორების ჩართულობა და მრავალფეროვანი რესურსების მოზიდვა მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებაში.

ტრენინგები, რომელიც განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მიერ ინიცირებული პროექტის: Learn, Exercise, Achieve, Receive, Network for Employment! ფარგლებში სააგენტოს 20 დასაქმების კონსულტანტის გადამზადებას ითვალისწინებს იდივიდუალურ უნარებზე დაფუძნებული დასაქმების მეთოდოლოგიასა და ინდივიდუალური შრომითი უნარების შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებაში, დროულ მხარდაჭერას წარმოადგენს ახლად შექმნილი სააგენტოსთვის. ჩვენ ასევე მზად ვართ, რომ ჩვენი რესურსებით ჩავერთოთ პროექტით დაგეგმილი დასაქმების ფორუმების ორგანიზებაში.

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან შედეგზე ორიენტირებული მუშაობის გამოცდილება გვაძლევს წინასწარი პროგნოზის გაკეთების საშუალებას და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა წინამდებარე პოროექტის ფარგლებშიც წარმატებული იქნება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარს ვუჭერთ წარმოდგენილ პროექტს და გვჯერა რომ მისი განხორციელებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგემება ქვეყანაში დასაქმების სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევისა და მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამილა ბარკალაია